

საქართველო ედექტრო ენერჯის იმპორტიორი გახდა

პირველად საქართველოს ენერჯეტიკის ისტორიაში, იმპორტის განხორციელება დაიწყო. – ამის შესახებ ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კარაძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ რუსეთიდან თურქეთში, საქართველოს გავლით ედექტროენერჯის იმპორტის განხორციელების დაწყებასთან დაკავშირებით განუცხადა.

მისი თქმით, ამის შესაძლებლობას ახარციხეში აშენებული 500-კილოვოლტიანი ქვესადგური იძლევა.

„აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან საუბარი გვქონდა, რომ ეს შესაძლებლობა მათაც გამოეყენებინათ, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ რუსეთიდან დაახლოებით 300 მეგავატი სიმძლავრის ედექტროენერჯის ტრანზიტი ხდება, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის დამატებითი შემოსავალია. ის იმ ვარის დაფარვას მოემსახურება, რომელიც ამ ახარციხის ქვესადგურის ასაშენებლად იყო აღებული“, – განაცხადა კახა კარაძემ.